

ქართული!

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთი ❖ №8, 2000 წელი ❖ ფასი 30 თეთრი

ინფორმაცია

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო, ტრადიციისამებრ, აპრილის თვეში (10-14 აპრილი) ატარებს კონკურსს ქართული ენის საუკეთესო მკოდნეთა გამოსავლენად.

კონკურსი ჩატარდება ორ ტურად (წერითი, ზეპირი); მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სასწავლო დაწესებულებათა (სკოლის, გიმნაზიის, ლიცეუმის) მოსწავლეებს, რომლებმაც დირექტორის წარდგინების საფუძველზე 20 მარტამდე რეგისტრაცია უნდა გაიარონ ენის სამმართველოში.

კონკურსის თემატიკას, რომელიც ითვალისწინებს ზემოაღნიშნული სასწავლო დაწესებულებების ქართული ენის პროგრამის (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სალიტერატურო ენის ისტორიის) საკითხებს, მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

პირობების გასაგებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

წმინდა ნინოს ქ. №19,

ტ. 5-02-99, 4-28-83

სამმართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო

ჩვენი ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. ამის ძირითადი მიზეზი სახელმწიფო ენის ფუნქციის შეზღუდვის ელვისებური პროცესია, რომელიც აშკარად

ლია, იურიდიული სტატუსი ვერ მიიღო, მაგრამ მის საფუძველზე, ენის სახელმწიფო პალატის შექმნის შემდეგ, 1997 წლის ივლისში დაფუძნდა ქუთაისის ენის სამმართველო, რომლის მიზანია სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის გატარება, ქართუ-

არც თუ ისე სავალალო მდგომარეობაშია, თუმცა ტენდენცია იმისა, რომ უცხოენოვანი აბრები „დამკვიდრდნენ“, მაინც არის და სახელმწიფო ენას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ნიშანდობლივია, რომ ჩვენი სამმართველოს შექმნისთანავე მოხდა ქალაქის

დროზე ამის გაუთვალისწინებლობამ სახელმწიფო ენის ინტერესები, გარკვეულწილად, მაინც შელახა...

გასული წლების მიხედვით შედეგები ასეთია:

1997 წელს მოიხსნა 28 უცხოენოვანი სარეკლამო

„თუ თვით არ ვიტყვით, ვერ ვპოვებთ“

იგრძნობა. სამწუხაროა, რომ ქართული სახელმწიფო

1999 წლის 17 დეკემბერს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველომ ჩატარა გაზეთით გაზეთის შუამდგომლობა. გაზეთის შუამდგომლობაში მოთხოვნილი იყო, რომელიც აშკარად

აბრა, შესაბამისი ქართული ტრანსლიტერაცია დაერთო 29 რეკლამო

ფობრიობის, ქვეყნის ძლიერებისა და ერთიანობის მარადიული სიმბოლო სიწმინდის დაკარგვის, უცხო ენათა არასასურველი გავლენის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ისტორიულად საქართველოში ენობრივი პრობლემების სიჭარბეს, ძირითადად, ჩვენი მცირერიცხოვნობა განაპირობებდა და დღესაც განაპირობებს, მაგრამ ეს რამდენიმე წელია პრობლემები უფრო ახლებურად და მძიმედ წარმოჩინდა: სხვადასხვა მიზეზთა გამო გარკვეულწილად შემცირდა სახელმწიფო ენის მოქმედების არეალი, მოიშალა მისი დაცვის მექანიზმი... ამ პროცესის შესაჩერებლად რამდენიმე წლის წინ შეიქმნა სახელმწიფო ენის მუდმივი კომისია, ხოლო უფრო მოგვიანებით, პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა.

ჩვენს ქალაქში გაცილებით ადრე დაიწყო აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის ზრუნვა: ჯერ კიდევ 1995 წელს აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიდიპეტოლოგიის ინსტიტუტის, ქართული ენის კათედრის ინიციატივითა და თეიმურაზ შაშიაშვილის მხარდაჭერით შეიქმნა „სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი საქალაქო კომისია“, ხოლო შემდეგ — ენის სამსახური“, რომელმაც, მართა-

ლი ენის კონსტიტუციური სტატუსისა და სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის უზრუნველყოფა... არ არსებობს სფერო, სადაც ენის სამმართველოს უფლებები მეტნაკლებად არ ვრცელდებოდეს, მაგრამ ძირითადად მუშაობის სამი მიმართულება გამოკვეთილი:

1) პრაგმონიმების სფერო — ქალაქის გარეგანობის ენობრივი მხარის კონტროლი.

2) ტერმინოლოგიის სფერო — ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულ წარმოება-დაწესებულებებში (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) საქმისწარმოების ენისა და ტერმინოლოგიის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად გამართვა; ზოგადად ტერმინოლოგიური მუშაობა ყველა სფეროში ტერმინების ქართული შესატყვისების შემუშავებასა და დამკვიდრებას ითვალისწინებს.

3) სახელმწიფო ენის სასურველ დონეზე სწავლების მიზნით აქტიური თანამშრომლობა ქალაქის სასწავლო დაწესებულებებთან.

რამდენიმე სიტყვით თითოეული მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ:

თუ ჩვენი ქალაქის ქუჩებს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ მშობლიური ენა სხვა ქალაქებთან შედარებით

ტერიტორიაზე განთავსებული ენობრივი თვალსაჩინოების აღრიცხვა, დაფიქსირდა სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევის თითქმის ყველა შემთხვე-

„ევიტოსა შესაყრებელსა“

ვა, რომელთა გასწორება, ზოგის კი საერთოდ მოხსნა გახდა საჭირო. ამ მიმართულებით მუშაობისას სერიოზულ სირთულეებსაც ვაწყდებით, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“, რომელიც, ვფიქრობთ, უკეთ განსაზღვრავდა ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის საკითხს. მართალია, არსებობს კანონი რეკლამის შესახებ, მაგრამ მისი საშუალებით, სამწუხაროდ, „ვერ რეგულირდება“ სარეკლამო აბრების ენობრივი გამართულობა ისე, როგორც სახელმწიფო ენის ინტერესებისათვის არის საჭირო. თავდაპირველად რეკლამის კანონი არ ითვალისწინებდა ქართული და უცხოური სარეკლამო წარწერების ზომით განსხვავებულ შეფარდებას, რამაც ისევ ჩვენი ენა დააზარალა: აბრებზე ქართული შესატყვისები ისე შემქმნეველი იყო, თითქმის არც იკითხებოდა. მოგვიანებით, კანონმდებლებმა, რეკლამის კანონში დამატებების შეტანით იზრუნეს აღნიშნულ პრობლემაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, თავის

მას, 22 აბრა გასწორდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად.

1998 წელს მოიხსნა 24 უცხოენოვანი სარეკლამო

აბრა, ქართული ტრანსლიტერაცია დაერთო 22 რეკლამას, 27 აბრა გასწორდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად.

1999 წელს მოიხსნა 19 უცხოენოვანი სარეკლამო აბრა, ქართული ტრანსლიტერაცია დაერთო 18 რეკლამას, 22 აბრა გასწორდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წლების მიხედვით ენობრივი დარღვევები საგრძნობლად კლებულობს, რასაც რამდენიმე გარემოება განაპირობებს. კერძოდ: ქუთაისის ენის სამმართველო სისტემატურად იძლევა ნებართვას აბრების ენობრივი გამართულობის შესახებ. გასული წელს სამმართველოს თანამშრომლები არქიტექტურის დეპარტამენტის საბჭოს წევრები იყვნენ. საბჭოზე ხდებოდა წარმოდგენილი ენობრივი თვალსაჩინოების ექსპერტის განხილვა და ნორმების შესაბამისად გამართვა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამან საგრძნობლად შეუწყობდა ხელს მუშაობას

ხელი ენობრივი დარღვევების შემცირებას, მაგრამ სამ-წუბაროდ მიმდინარე წელს არ იქნა გათვალისწინებული (ჩვენთვის გაუგებარია მიზეზები...) ენის სამმართველოს წარმომადგენელთა სტდომაზე დასწრების აუცილებლობა.

ამ მიმართულებით მუშაობისას ანტიმონოპოლიურ სამსახურთანაც ვთანამშრომლობთ: ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული რამდენიმე ე.წ. „ურბი“ უცხოენოვანი სარეკლამო

მაც სურვილი გამოთქვა ჩვენს სამმართველოსთან თანამშრომლობისა, სააქციო საზოგადოება „ელექტრომექანიკოსია“, რომლის ხელმძღვანელობამ ათი წლის წინ დაიწყო ზრუნვა ამ პრობლემის მოგვარებისათვის. გარკვეულ შედეგებსაც მიაღწიეს, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩათვალეს ენის სამმართველოსთან ერთად ამ საკითხის გადასინჯვა. გარკვეულ მიზეზთა გამო ხელშეკრულების გაფორმება დაყოვნდა, მაგრამ „ელექტრომექანი-

კარტულ ზეპირ ტურში (რომელიც საჭაროდ ჩატარდა) მიიღეს მონაწილეობა. გამარჯვებულებს ქალაქის მერის ხელმოწერით გადაეცათ დიპლომები, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ახალი გამოცემა) და ფასიანი საჩუქრები, კონკურსი ტრადიციად იქცა და ყოველი წლის აპრილის თვეში გაიმართება. ასევე ტრადიციულად ვაქციეთ სახელმწიფო ენის დღის ღირსეულად აღნიშვნა: 14 აპრილს ოპერისა

მნა სამი ჯგუფი ენის სამმართველოს, უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის, განათლების საბჭოს წარმომადგენლებისა და პედაგოგების შემადგენლობით, რომლებიც იმუშავებენ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროგრამებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ სახელმწიფო ენის ინტერესების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება

ლარია მიღებული გვაქვს მხოლოდ 1610 ლარი, ხელფასის სახით, 70 ლარი—სამეურნეო ხარჯებისათვის.

1998 წელს ჩვენთვის გათვალისწინებული თანხა 5000 ლარით შეგვიმცირეს. დარჩენილი 5000 ლარიდან ხელფასის სახით მივიღეთ 2840 ლარი, 614 ლარი კი—სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯებისათვის. თანხის სრულად ათვისება ამჭერადაც ვერ მოხერხდა, რამაც ახლად შექმნილ სამმართველოს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

მიმდინარე წელს ენის სამმართველოს ძალისხმევით თანხა ბიუჯეტში კვლავ 10000 ლარამდე

„თუ თვით არ ვიტყვით, ვერ ვპოვებთ“

მო აბრის მოხსნა მხოლოდ მას შემდეგ ვახდა შესაძლებელი, რაც განხორციელდა ენის სამმართველოსა და ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამშრომელთა ერთობლივი რეიდი. აქვე დავსძენთ: ქალაქის ტერიტორიაზე არის რამდენიმე ობიექტი უცხოენოვანი აბრით, რომელთა მეპატრონეებს ქართველობასა და ენის ინტერესებზე საუბრით, შეგონებით „გული ვერ აუწიხუყთ“, მათ მხოლოდ კანონის ძალით უნდა ველაპარაკოთ, კანონისა, რომელიც მიზეზთა გამო ვერ ამოქმედდა...

სამწუხაროა, რომ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ ქართულ ენას ქართული სივრცე დააპარგინა, სანაცვლოდ, მისთვის განკუთვნილ სივრცეში უცხოენოვანი სარეკლამო აბრები ლაღად განთავსდნენ... დასანანია, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილიც სნობური დამოკიდებულებით ხელს უწყობს ამ პროცესს. ვიმედოვნებთ, ყველა ის პრობლემა, რომელიც პრაგმონიკების სფეროში მუშაობისას იჩენს თავს, იოლად და დროულად გადაიჭრება, თუკი უახლოეს მომავალში მიღებული ენის კანონით, თანდართული აქტებით ზუსტად განისაზღვრება ქართულენოვანი აბრების აუცილებლობა და უპირატესობა.

რაც შეეხება ტერმინოლოგიის სფეროს, აქ არსებული პრობლემების მოგვარება ენის სამმართველომ წარმოება-დაწესებულებებთან თანამშრომლობით დაიწყო. საბჭოურმა სისტემამ დადი დაასვა ტერმინოლოგიასა და საქმისწარმოებას, რომელთა გაქართულება თავისთავად რთული და ხანგრძლივი პროცესია. ცნებებისა და ტერმინების ზუსტი პარამნიზაცია მხოლოდ შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციებით უნდა მოხდეს. ამ მხრივ ტექნიკური უნივერსიტეტს დიდი შესაძლებლობები მოეპოვება. დამატების იმედი კი ყოველთვის გვაქვს.

პროფ. ს. შაველიძე, რომელიც

კოსის“ ხელმძღვანელობამ. ორივე მხარისთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი აქტი დღევანდელ დღეს სიმბოლურად დაუკავშირა.

მიმდინარე წელს, ენის სამმართველოს წინადადებითა და კომპიუტერული ფირმა „მზეს“ ინიციატივით, დაიწყო ზრუნვა კომპიუტერული ტერმინოლოგიის გაქართულებისათვის. რა თქმა უნდა, მხოლოდ ქუთაისის მასშტაბით ამ გლობალური პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდება. ფირმის ხელმძღვანელს, მალხაზ ჭინჭიხაძეს სერიოზული წინადადებები აქვს, როგორ შეიძლება მოხდეს შემუშავებული კომპიუტერული ტერმინების განზოგადება, პირველ რიგში, აუცილებელია ამ დარგის სპეციალისტების შეკრება და მათთან კონსულტაციებით პროგრამის დროულად ამოქმედება. აქვე დავამატებ: საქართველოს ენის სახელმწიფო პალატამ დაიწყო ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა. ვიმედოვნებთ, ერთობლივი, შეთანხმებული საქმიანობით შედეგები დროულად გახდება შესაძინევი.

რამდენიმე სიტყვით სასწავლო-დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესახებ: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრისა და ქალაქის განათლების საბჭოს მხარდაჭერით 10-14 აპრილს, შეიძლება ითქვას პირველად საქართველოს ისტორიაში, ქართული ენის საუკეთესო მცოდნეთა გამოსავლენად ჩატარდა კონკურსი, რომელშიც ქალაქის სასწავლო დაწესებულებების 60 მოსწავლე მონაწილეობდა. კონკურსის პირველი ეტაპი—წერითი ტური აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. პირველი ტურის შედეგებით გამოვლინდა 7 გამარჯვებული, რომლებმაც 14 აპრილს—სახელმწიფო ენის დღეს—მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გა-

და ბალეტის სახელმწიფო თეატრში (თავისუფალი დასწრებით) ენის სამმართველოს ინიციატივით ჩატარდა ლიტერატურულ-შემეცნებითი კომპოზიცია „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ენის სამმართველომ ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო გაზეთ „ქართულის“ გამოცემა. სექტემბრიდან გაზეთი თვეში ერთხელ გამოდის. რუბრიკები: „ჩვენ, ენა და ქუჩა“, „სიტყვები პროფილში“, „სხვა ენები და ერები“, „ტერმინოლოგია და საქმისწარმოება“, „სახელმწიფო ენა და ჩვენი თანაქალაქელები“, „სწორმეტყველება“, „რატომ ვამბობთ ასე?“ სისტემატურად აისახება ენასთან დაკავშირებული საკითხები. ჩვენი გაზეთი „სოციალური გაზეთია“, იგი უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების საგანს. ვიმედოვნებთ, გაზეთის სარედაქციო კოლეგია ამ მისიის შესრულებას ყოველთვის შეძლებს.

ენის სამმართველო თვეში ერთხელ ატარებს მუდმივმოქმედ სემინარს, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო დაწესებულებათა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ხელისუფლების წარმომადგენლები. უკვე ჩატარდა სემინარები—„სახელმწიფო ენა და სკოლა“, „ქართული ენის სწავლების პროგრამები“, „სახელმწიფო ენა და სკოლა-დედი აღზრდის დაწესებულებები“, „სახელმწიფო ენა და სახელმწიფო მოხელე. მომდევნო თვეებში სემინარის თემებად ივარაუდება: „სახელმწიფო ენა და ქუჩა“, „სახელმწიფო ენა და დარგობრივი ტერმინოლოგია“, „სახელმწიფო ენა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“, „სახელმწიფო ენა და ინტერნეტი“...სემინარების მონაწილეთა სურვილით შეიქ-

ბალის ასაკიდან უნდა მიექცეს ვფიქრობთ, განათლების საბჭოს-

„ეტილსა შესაყრებელსა“

თან ერთად სერიოზულად უნდა გადაისინჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხი...

მიმდინარე წელს ენის სამმართველომ ტელეკომპანია „ივერიონის“ დახმარებით გადაიღო სოციალური რეკლამა სახელმწიფო ენაზე, რომლის განთავსება ადგილობრივ ტელევიზიაში, ტექნიკური მიზეზების გამო, დღემდე ვერ მოხერხდა. უახლოეს დღეებში ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

დასასრულს, მინდა ჩვენთვის ერთ მეტად მტკივნეულ საკითხს შევეხო. ქუთაისის ენის სამმართველო სამი წელია არსებობს და ყოველ ახალ წელს ახალ ოფისში ხვდება. აქვე დავსძენ, ჩვენთვის დროებით განკუთვნილმა ადგილსამყოფელმა ვერც ერთხელ ვერ მიიღო „მუდმივის“ სტატუსი. ამჭერად სამმართველო განთავსებულია ყოფილი ბაგრატიის ტაძრის კომპლექსის აღორძინების ფონდის ოფისში. როგორც ახლახან გამოიკვეთა, ისევ დგას საკითხი ჩვენი გადასვლის შესახებ, მაგრამ სად, ჯერჯერობით: არ ვიცით! იმედია, ქალაქის ხელმძღვანელობა ამ საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს.

რაც შეეხება სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ფინანსებს: ენის სამმართველო ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის სიმწირის გამო დღემდე ვერ შევიძინეთ ინვენტარი, კომპიუტერი და სხვა საჭირო ტექნიკური მოწყობილობა... ამჟამად ჩვენს ოფისში განთავსებული ინვენტარი მერიის კუთვნილებაა, რომელიც ენის სამმართველოს დროებით სარგებლობაში გადმოეცა.

1997 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოგვეყო 10000

დე გაგვიზარდეს. მიღებული გვაქვს 4135 ლარი. ასე რომ, სამი წლის მანძილზე ვერ შევძელით (ბიუჯეტის სიმწირის გამო) მუშაობისათვის საჭირო ნორმალური პირობების შექმნა. რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო მასშტაბური, დინამური საქმიანობის პრეტენზია გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, იდეების განსახორციელებლად ფინანსური შესაძლებლობები არ გავაჩნია. ჩვენს ერთ-ერთ შეხვედრა-დილოგზე პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში, ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა შემოგვთავაზა, შეგვემუშავებინა პროგრამა, რომელსაც იმერეთის განვითარების სააგენტო (ხელ-ლი პროფ. ნოდარ ვალიშვილი) დააფინანსებს. პროგრამა უკვე არსებობს, რომელსაც უახლოეს დღეებში წარვუდგენთ ბატონ ნოდარ ვალიშვილს.

პროგრამა ითვალისწინებს:

- 1) ყოველკვირეული ტელეგადაცემის მომზადებას, რომელშიც სისტემატურად იქნება საუბარი ენობრივ პოლიტიკასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე.
- 2) მასწავლებელთა კონფერენციის ჩატარებას, რომელშიც არა მარტო იმერეთის, არამედ საქართველოს განათლების სფეროს წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.
- 3) თვეში ერთხელ სოციალური რეკლამის მომზადებასა და ადგილობრივ ტელევიზიაში განთავსებას.
- 4) სახელმწიფო ენის დღის განსაკუთრებულად აღნიშვნა... დასასრულს სიამაყით აღვნიშნავ—იმერეთში, განსაკუთრებით კი ქუთაისში, არაერთ საუკეთესო ტრადიციას ჩაპყრია საფუძველი. ენის სამმართველოს დიდი სურვილი აქვს ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი იყოს, ჩვენი თანაქალაქელების თანადგომის იმედი კი ყოველთვის გვაქვს!

„მოცვარეს პირში უძრახე...“

მრავალჯერ თქმულა, რომ მშობლიური ენის დაცვა სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. საუბედუროდ, ხშირ შემთხვევაში ესა თუ ის გამოსვლა, სატელევიზიო გადაცემა თუ საგაზეთო წერილი რჩება „ხმად მღაღადებლისა უღაბნოსა შინა“. მშობლიური ენისადმი თვითნებური დამოკიდებულება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ჩვენი მოღვაწეობის ყველა სფეროში: პოლიტიკასა და ბიზნესში, განათლებასა და ხელოვნებაში, მასობრივ ინფორმაციითა საშუალებებში, სპორტში და ა.შ. უფრო მეტიც—არც თუ იშვიათად სახელმწიფო ენა დაკნინებულია და იბღაბება თვით უმაღლეს სტრუქტურებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებშიც.

თუ არ შევიმჩნევიათ და ამიერიდან დააკვირდებით ქართველ პოლიციელთა ფორმებზე სამსახურის აღმნიშვნელ წარწერებს, შეიძლება იფიქროთ, რომ საქმე უცხო ქვეყნის პოლიციასთან

გაქვთ, რადგან უმეტეს შემთხვევაში ეს წარწერები მხოლოდ უცხო ენაზეა შესრულებული. თავად განსაკუთრებით—პოლიციელის ქართულ ბურჯზე აქვს ან მხოლოდ ინგლისურენოვანი წარწერა „POLICE“, ან კიდევ დამატებით მკერდზე—ასევე ინგლისური „SECURITY“.

ერთმანეთს სიმართლედ უნდა ვუთხრათ და ვაღიაროთ, რომ ამგვარი მოვლენა მიუღებელი უნდა იყოს არა მხოლოდ თითოეული მოქალაქისათვის, არამედ თვით სახელმწიფოსათვის, რადგან პოლიცია სახელმწიფოს სახეა, იგი ქვეყანაში წესრიგის სიმბოლოა და თუ თავად დაუშვებს კანონდარღვევასა და დანაშაულს (როგორც არ უნდა იყოს იგი), მაშინ ქვეყანაში კანონიერება და წესრიგი ფეხს ვერ მოიკიდებს.

იქნებ მავანი შემოგვეღავოს კიდევ, რომ აღნიშნული ფორმები საქართველოში არ დამზადებულა და იგი სარუ-

ქარია რომელიმე ქვეყნის მთავრობისა, რისთვისაც მათი მისამართით მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ სიცხადისათვის განვმარტავთ, რომ „სახელმწიფო სამსახურის შესახებ“ არსებული კანონის თანახმად, „სახელმწიფო სამსახური საქართველოში სრულდება ქართულ ენაზე“. ამრიგად, შემთავანისხული მოვლენა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც იურიდიული გიჟის დანაშაული. ამიგომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სახელმწიფო უნდა ბრუნავდეს, რომ „POLICE“ „პოლიცია“ იყოს, „SECURITY“—დაცვის პოლიცია“.

თუ გემონახსენებ სამსახურთა ავტომობილებსაც შევაფიქრებთ თვალს, დავინახავთ, რომ უცხოენოვანი წარწერა მომით ამჟამად სჭარბობს მშობლიურს: „POLICE“ და „ROAD POLICE“ ვეხებურთელა, ეს მაშინ, როცა ქართული „პოლიცია“ და „საგზაო პო-

ლიცია“ პატარა, მცირე ზომითაა წარმოდგენილი.

მიკვრძობებულნი რომ არ ვიყოთ, ვიგვეთ იმხანც, რომ პოლიციელთა ფორმები არის, აგრეთვე, ორქოვანი წარწერით, ასევე, იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება მხოლოდ ქართული წარწერით „პოლიცია“.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ენობრივი პრობლემების გადაჭრა უნდა იყოს „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“, რომელსაც უკვე არა თუ თვეები, არამედ წლები აკვიანდება. ეს კანონი საშუალებას მოგვცემს ნებისმიერი სახის ენობრივი დარღვევა განიხილებოდეს (აგრეთვე, ისუებოდეს კიდევ), როგორც სამართლებრივი დანაშაული, რაც ხელს შეუწყობს სწორი ენობრივი პოლიტიკის გატარებას.

მონსპე მარანაშვილი

სიტყვები პროფილში ანუ ენის მარგალიტები

„მღვდელი“

თანამედროვე ქართულში ღვთისმსახურის აღსანიშნავად გვაქვს სიტყვა „მღვდელი“. ძველი ქართულის ტექსტებში იგი წარმოდგენილია „მღღელი“ ფორმით. ამ უძველესი სიტყვის წარმოშობის დასადგენად რამდენიმე მოსაზრება არსებობს: კერძოდ, თედო ჟორდანიასი, ნიკო მარის, ვარლამ თოფურიასი, ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის...

თედო ჟორდანიას ამ სიტყვას წარმოშობის დროინდელად თვლიდა, მაშინ, როცა ღმერთებს სიმღერებს უმღეროდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ.

მისი აზრით, აქედან შემოგვრჩა ქართული ხალხური სიმღერების მისამღერში „ღღელი-ვო-ღღელი“. აქედან მოდის **ღღელი** ანუ **ღმერთი ღღელი**.

ნიკო მარი „მღღელ“ სიტყვაში **ღღ** და **ღღღ** ძირს გამოყოფდა და მას უკავშირებდა სიტყვას „გრძნებად“. მ-ელ კი მიმღეობის მაწარმოებელ კონფიქსად მიანდა.

ვარლამ თოფურიას აზრით, „ღღ“

ძირი წარმოშობილია „ჯაღა“ ზმნისაგან. მისი მიმღეობაა „მხადელი“, შეკუმშული სახით—„მხდელი“. აქედან კი გვაქვს „მღვდელი“. შდრ.,

„დავით უფლით ხადის“—ლუკა, 20, 44; „ხადის და იტყუს“—მათე, 22, 43., ან კიდევ, ვფიქსიტიკოსის „ხადილი“: „სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხადოლიან“.

„ხადილი“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ძახილს, მოწოდებას,

მოხმობას“ ნიშნავს.

ჰაინც ფენრიხი და ზურაბ სარჯველაძე „ღღ“ ძირს უკავშირებენ „ღღღღს“, „ღღღღღს“, აქედან—„მღღღელი“—„მღღღღღელი“.

ამგვარად, „მღღელი“ ნიშნავს მომწოდებელს, მძახებელს, მღაღადებელს ე.ი. „მღვდელი“ შეიძლება გაიგებოდეს, როგორც მოლაპარაკე, მოსაუბრე, რომელიც ღოცვით ესაუბრება როგორც უფალს, ასევე—ადამიანებს.

მასალა მოამზადა ლუიზა საპაპურიძემ.

სხვა ერები და ენები

ჩვენთვის ცნობილია დამწერლობის ფრიად უნიკალური ნიმუში, რომლის მსგავსიც მსოფლიოში არ მოიძებნება...

1908 წლის 3 ივლისის საღამოს კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში, სასახლის გათხრების დროს იტალიელმა არქეოლოგმა ლ. პერნემ აღმოაჩინა ტერაკოტისაგან (გამომწვარი თიხა) დამზადებული ბრტყელი დისკო, დაახლოებით 20 მმ სისქისა და 16 სმ დიამეტრისა. დისკოს მახლობლად თიხის დაფაც გამოჩნდა ჩვეულებრივი კრეტული წარწერებით. იგი შესრულებულია დაახლოებით 1700 წელს ჩვენს ერამდე. სწორედ ასე დაათარიღეს ფესტოსური დისკოც.

დისკოს ორივე მხარე მჭიდროდაა დაფარული ნახატი ნიშნებით. წარწერები ფრაგმენტულადაა დაყოფილი ვერტიკალური შტრიხებით და სპირალურადაა დახვეული. დღემდე უცნობია, ეს სპირალური როგორ „ტრიალებდა“ (იკითხებოდა). ერთადერთი, რაც მეცნიერებს შეუძლიათ დამაჯერებლად თქვან, ისაა, რომ კითხვის მიმართულება დისკოს ორივე მხარისთვის ერთნაირი იყო.

ფესტოსური დისკო არც ისე დიდია. მასზე 241 ნიშანია გამოხატული, ამათგან 45 განსხვავებულია. ეს ნიშნები მკვეთრად გამოხატულ მხატვრულ ხასი-

საღვთისმეტყველო დისკო

ათს ატარებს და იოლად შეიძლება ამოიცნო, ვის ან რას გამოხატავს. ნახატ ნიშანთა შორის არის კატის თავის (ან კატისებრთა ოჯახის რომელიმე წარმომადგენლის), თევზების, მფრინავი და ჩამომჯდარი ფრინველების, ცხვრის თავის, იარაღის, ხომალდების, მცენარეების გამოსახულებები და რაც ყველაზე საკვირველია, ფესტოსური დისკოს ნიშანი-იეროგლიფები სრულებით არ ჰგავს სხვა იეროგლიფურ დამწერლობას.

შეიძლება, რადგანაც ტექსტი კრეტაზეა ნაპოვნი, ის კრეტული იეროგლიფური დამწერლობის ნიმუში იყოს, მაგრამ თუ „ჩვეულებრივ“ კრეტულ ტექსტებს დისკოზე წარწერილს შევადარებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მათ შორის თითქმის არაფერია საერთო. იგი არ ჰგავს არც ხეთურ, არც ეგვიპტურ იეროგლიფებს, არც პროტოსუმერულ და პროტოელამურ დამწერლობებს, აღარაფერს ვამბობთ პროტონინდიურ, ძველ ჩინურსა და სხვა დამწერლობებზე.

მაგრამ არამარტო ეს „განსხვავებულობა“ ანიჭებს მას უნიკალურობას: ტერაკოტზე ნიშნები ამოტვიფრულია



განსაკუთრებული შტემბელით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს წინაშეა უძველესი „ბეჭდური“ წარწერა, რომლის ასაკი, სულ მცირე, 3700 წელია (ეს მიზნის მიხედვით, რადგან დისკო შეიძლება, მის შორიანხლოს ნაპოვნ დაფაზე აღრე იყოს დამზადებული, რომლითაც პირობითად განსაზღვრეს მისი ასაკი).

სად უნდა ვეძებოთ ფესტოსური დისკოს მონათესავე სხვა ძეგლები? კრეტაზე? მაგრამ ზოგი სწავლულის აზრით, ის ამ კუნძულზე არ არის დამზადებული (თვლიან, რომ თიხის ის სახეობა, რომლითაც დისკოა დამზადებული, კრეტაზე არ გვხვდება). ასახელებენ სხვადასხვა „მისამართს“, უპირველესად, მცირე აზიას, ეგეოსის კუნძულებს, პალესტინას, ჩრდ. აფრიკას, საბერძნეთსა და ჩადირულ ლეგენდარულ ატლანტიდასაც კი. ამჟამად, დისკოს საიდუმლოს ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის წაკითხვის შემდეგ.

... და დისკოს „კითხულობდნენ“, მათ შორის ბერძნულად, ხეთურად, სემიტურად, პირიქის მიხედვით მცხოვრებთა ენაზე, ბასკურზე... ის განმარტეს, როგორც

„ისტორიულ-ასტროლოგიური წერილი“, ატლანტიდის დაღუპვაზე მოსაუბრე, როგორც „საბრძოლო გამარჯვების ჰიმნი“, როგორც „კალენდარი“, როგორც „სიმღერა“ კრეტის მეფე მინოსის სადიდებლად“, როგორც „ღმერთებისადმი მიძღვნა“, და ბოლოს, მხოლოდ სიტყვათა კრებული. თვითონ განსაკუთრებით უსიცოცხლო ბილიკებით ფრთხვებშია მიბიძგებს, ვარსკვლავი-დამსჯელი აუფებული წყლის მორკვი, თევზადამსჯელი მზობაზე ვეჯობს, ცხენის ტყავის (ან მწვერვალის) დამსჯელი, ქოფაკი—წრიულ ბილიკზე მორბენალი; ძალიან თითო წელიანი ზურის ამომშრობელი“—სხე თარკმნა დისკოს ტექსტის დასაწყისი ინგლისელმა მეცნიერ ვარმა ს. კორლიმმა ჩვენ არ შეუძლებელია ფესტოსური დისკოს წარწერების ვაშიფრების მცდელობებზე საუბარს, რომელიც ჯონ ჩევიკის აზრით, „დღესაც რჩება ჩვენ შემადლებლობების მადმა“. წარწერას მოცულობა კი ისე მცირეა, იეროგლიფებში სურვილისამებრ, ნებისმიერ „შინაარსს“ შევიძლია ამოვიკითხო.

მასალა მოამზადა ლია რუსაქაძემ.



ხაჭმისწაბთემა, ტუბინდოგია

უცხოური:

Table with 2 columns: Foreign words and their Georgian equivalents. Includes words like Коробка, крестовина, крыло, кузов, кулачок, лапа, лебедка, лобовой, маятник, накладной, наконецник, насос, обод.

ქართული:

Table with 2 columns: Georgian words and their English equivalents. Includes words like კოლოფი, ჯვართავა, ჯვარელი, ფრთა, ძარა, მუშტა, თათი, ჯალამბარი, შუბლა, ქანქარა, სახსრიანი, ბუნეი, ტუმბო, ფერსო.

სწებმეფეულემა

ზოგიერთი ზედსართავი სახელის მართლწერა

ზედსართავ სახელთა წარმოებისას მოსალოდნელი შეცდომების თავიდან ასაცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ

მცდარი:

- List of incorrect spellings: უნცროსი, უმფროსი, ჰკუიანი, გონიერული, უგონიერესი, ულონიერესი, უგანიერესი, უთაო(უთაოდ—ზმნიზედა), უდაო(უდაოდ—ზმნიზედა), უგურა, უკარგესი, უცუდესი, უგრძელესი, უსქელესი, მოსქელო, მოტკბილო

მართებული:

- List of correct spellings: უმცროსი, უფროსი, ჰკვიანი, გონიერული, უგონიერესი, ულონიერესი, უგანიერესი, უთავო(უთავოდ—ზმნიზედა), უდავო(უდავოდ—ზმნიზედა), უგურა(← უგონური), უკეთესი, უარესი, უგრძესი, უსქესი, მოსკო, მოტკბო

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით მართებულად მიიჩნევა: უტკბილესი || უტკბესი, უმსხვილესი || უმსხოსი, უხნიერესი || უხნესი, თუმცა სამწერლობო ენა სხვა ზედსართავი სახელების უფროობით ხარისხის ფორმათა (უგრძესი, უსქესი...) ანალოგიით მოკლე ფორმებს (უტკბესი, უმსხოსი, უხნესი) ანიჭებს უპირატესობას.

რუსულან სალინაქე

რატომ ვაძბობთ ახე?

ს ნ ბ ი

სიტყვა სნობი ინგლისში გაჩნდა, ასე უწოდეს ადამიანს, რომელიც თამაშობს მალალ საზოგადოებაში მიღებულ კაცს, თავიანთ სცემს მოდას და მისთვის მისაბაძ ადამიანთა შეხედულებებისა და გემოვნების მიმდევარია. სნობი დამკვიდრდა ქართულ ენაშიც. უცხო სიტყვათა ლექსიკონში იგი ასეა განმარტებული: „სნობი [ინგ. snob] თავდაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში: ადამიანი, რომელიც ცდილობს ზუსტად დაიცვას მოდა და ე.წ. კარგი ტონის წესები, პირი, რომელსაც დახვეწილი გემოვნების, მანერების და მისთ. პრეტენზია აქვს და ამით თავი მოაქვს, ქედმაღლობს.“

სნობი ინგლისურ ენაში XVIII საუკუნიდან არსებობს და აღნიშნავს: 1. ხარახს, მეწაღეს. 2. უმეცარ, მდაბიო, კერძოდ, ბრიჯ ახალგაზრდას საუნივერსიტეტო ცენტრებში.

ფრანგი ლინგვისტი ა. დოზა თვლიდა, რომ სიტყვა სნობი, როგორც სტუდენტური არგოტიზმი (ლიტერატურულ ენაში შემოსული არგო-ჟარგონი) კემბრიჯის უნივერსიტეტის კედლებში გაჩნდა, თავდაპირველად ასე უწოდებდნენ მდიდარ, მაგრამ ნაკლებ წარჩინებულ უცხოელებს, რომლებიც ინგლისელ არისტოკრატთა ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდების მიბაძვას ცდილობდნენ. ეს ფაქტი უდავოა, ხოლო რაც შეეხება მისი შექმნის ისტორიას, იგი ბურჟუაზია მოცული. ვარაუდობენ (ყოველგვარი ეტიმოლოგია საეჭვოა), რომ XIX საუკუნის შუა წლებში ორ უნივერსიტეტში არატიტულირებული ოჯახებიდან გამოსული სტუდენტების გვარების გვერდით სვამდნენ ნიშანს: sine nobilitate (არარისტოკრატია). ცხადია, შემდგომ ამ სიტყვების შემოკლებით წერა დაიწყო—s.nob, საიდანაც გაჩნდა ფორმა snob—სნობი. ამ ვერსიის მიხედვით იგი შეიძლება აბრევიატურად ჩავთვალოთ, მაგრამ საკითხი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

სიტყვა სნობის სალიტერატურო ენაში დამკვიდრებას ინგლისელი სატირიკოსის უილიამ თეკერის სახელს უკავშირებენ. ცნობილია, რომ იგი კემბრიჯის განთქმული ტრიბიტ-კოლეჯის სტუდენტი იყო და უნივერსიტეტის პატარა გაზეთისათვის „სნობი“ პაროდისადაც კი წერდა (1829-1830 წწ.) ეს ფაქტი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში სნობი ფართოდ გავრცელებული სიტყვა ყოფილა, ამიტომ მან სიჭაბუკისას მიღებულ შთაბეჭდილებებთან ერთად მწერლის შემდგომდროინდელ ნაწერებში დაიკვიდრა ადგილი. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ უილიამ თეკერიმ ამ სიტყვას ახალი მნიშვნელობა მიანიჭა მას შემდეგ, რაც 1846 წელს გამოქვეყნდა ნარკვევი „ინგლისელი სნობები ერთ-ერთი მათგანის აღწერით“. მისი აზრით, სნობიზმმა საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა. „მე შეიქმნება, ინგლისის მთელი საზოგადოება ანგარების საშინელი ცრურწმენითა მოწამლული—წერდა თეკერი ზიზლის მომგვრელი სნობიზმის შესახებ,—რომ ჩვენ ერთეულებს უმორჩილეს თავიანთ ვცემთ, ვიზიბლებით და ვეპირფერებით, ხოლო სხვებს აბუხად ვოვდებთ და ცხვირს ვუბზუებთ.“ (უ. თეკერი, თხზ. 12 ტომად, თბ., 1975, გვ. 511-512).

უ. თეკერის სიტყვებით, სნობია ის, ვინც „ქედს იხრის უნამუსობის წინაშე“. უფრო სრული განმარტება ამგვარია: „თქვენ, ვინც აბუხად ივდებთ ახლობლებს—სნობი, თქვენ, ვინც ტიტულიანი ნაცნობების დევნისას მეგობრებს ივიწყებთ—ასევე სნობი, თქვენ, ვისაც სიღარიბე გეთაკილებათ და საკუთარი პროფესიის გამო წითლდებით—სნობი, როგორც ისინი რომლებიც თავიანთ დიდებულებით ტრაბახობენ და სიმდიდრით ამაყობენ“ (514). ნარკვევებს მოჰყვა რომანი „წიგნი სნობების შესახებ“ (1848 წ.), რის შედეგად სნობი დამკვიდრდა ჯერ ინგლისის, ხოლო შემდეგ—სხვა ქვეყნების სალიტერატურო ენაში.

მაშასადამე, სნობიზმი ყველა დროსა და საზოგადოების სენია. როცა თეკერი ინგლისელი სნობების შესახებ ზიზლით წერდა, ჩვენში გადაგვარებული ქართველების, ე.წ. „დამბურთების“ პრობლემა იდგა, ხოლო მწერლობაში მათი ლიტერატურული სახეები იჭრებოდა. XX საუკუნის მიწურულს კი ჩვენს მეტყველებაში ფრანგული—პარვენიუ, რუსული—მეშანი და ობიუვატელი, ქართული—კულდაბზიკა ინგლისურმა სნობმა შეცვალა იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი „უფრო კარგად“ გამოხატავს სათქმელს, რომ ყოველგვარი უცხოურის მიბაძვისას ქართული აღარ მოგვწონს. ყოველივეს საფუძველი ჩვენი „სნობიზმი“ ცნობიერებაა.

მასალა მოამზადა სოფიო სულაბერიძემ

სიციკვათა აკიდო

Word search grid containing letters in Georgian script.

შეუცხეთ ისტ. როგორც მოცემულ მაგალითებშია ნაჩვენები.

წინა ნომერში გამოქვეყნებული „სიტყვათა აკიდოს“ კასუხაბი:

დილემა, პანორამა, პანტომიმა, (აიაზმა), ლუქმა, სისტემა, შაქარალამა, აკლამა, (თემა), გადაცემა, თილისმა, წვიმა, (დადგმა), დიფრაგმა, თეორემა, ქრიზანთემა, რეკლამა, ჩუქურთმა, პოემა, ანათემა, ნათლიმამა, (მოღგმა), ბრმა, ქარაგმა, სირაქლემა, პრიზმა, ჩიხირთმა, (დოგმა), ემბლემა, შემოდგომა.

რედაქტორთა საბჭო:

მოსამ მარჯანაშვილი, ლია რუსაძე, რუსუდან სალინაძე, სოფიო სულაბერიძე, ტარიელ ზუბაბრაძე (მთავარი რედაქტორი), მარინე მახარაძე, მამუკან ყურაშვილი. მთლიან რედაქტორთა ბრუნან სალინაძე

დირექტორატი:

ლოლა გაბრიძაძე, პარლან მათაშვილი

რეგისტრაციის

ნომერი 19/06-311

გვენო მისამართი:

გვენო მისამართი: ვაიხაძე 60600 ქ. №19 ტ. 5-02-99, 4-28-83 ელ. ფოსტა: Putkaradze @ sanetk. net. ge

ვაზეთი

კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადინდა და დაიბეჭდა ს/ს „სტამბაში“ მისამართი: ქუთაისი, თ. ჭავჭავაძის გამზ. №33